

მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

ორგანიზაცია "კათოლიკური დახმარების სამსახური" (CRS) შეუდგა ანტიმართლმადიდებლური და ანტიქართული პროგრამის - "ვაშენოთ მომავალი" - განხორციელებას: შევიდნენ სკოლებში იმ მიზნით, რომ აღზარდონ პროკათოლიკურ-ეკუმენისტური მრწამსის, არაეროვნული, კოსმოპოლიტური ცნობიერების, ჩვენი ტრადიციების მოძულე, სისიხლის აღრევის - ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებთან ქორწინების მოსურნე, სექსუალურად დეზორიენტირებული, უზნეო მომავალი თაობა. საუბარია ჩვენი შვილების სულების წარწყმედაზე, საქართველოს ღვთიკურთხეული სულიერების მოსპობაზე, მისი ისტორიული, ეროვნული ცნობიერებისა და მართლმადიდებლობასთან შენივთებული ტრადიციების ხელყოფაზე, მათ სანაცვლოდ - ფსევდოჰუმანური და ფსევდოლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებაზე. ერის მომავალს დიდი საფრთხე შეექმნა!

თანამემამულენო! ნუ ცდუნდებით კათოლიციზმით. გაიხსენეთ, რომ იგი მწვალებლობაა, რომ იგი როგორც მწვალებლობა, ჭეშმარიტი ეკლესიის მიერ შეჩვენებულ იქნა და ეს ანათემა დღესაც ძალაშია. ისტორიულად საქართველოსთვის დიდი იყო საცდური პაპიზმისკენ მიდრეკისა, რომელიც განასახიერებდა პოლიტიკურ სიძლიერესა და კეთილდღეობას, დღევანდელი გადასახედიდან კი - "ცივილიზაციას", "ჰუმანიზმსა" და "დემოკრატიას". მაგრამ საქართველოს ისტორია გამონაკლისის გარეშე ერთ კანონზომიერებას ადასტურებს: ქვეყნის ხელისუფალთა თუ ეკლესიის მღვდელმთავართა მიდრეკას პაპიზმისაკენ უმაღლ მოჰყვებოდა ხოლმე ღმრთის რისხვა.

თანამემამულენო! ერთად დავდგეთ, ერთად დავიცვათ ჩვენი შვილები სულიერი აგრესიისაგან, მოვითხოვოთ ანტიმართლმადიდებლური პროგრამის შეჩერება. დავიცვათ ჩვენი სიქადული - მართლმადიდებლობა და ქვეყანა - მოძალადეებისაგან. ნუ ვუღალატებთ ჩვენს მოწამებრივ წარსულს და მისგან ნაშობ ღირსეულ მომავალს, თორემ ღმრთის რისხვა არ ასცდება არც ერს და არც ბერს.

სიკვდილამდე ვიღვაწოთ სიმართლისათვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს ჩვენთვის!

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი

მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო! ნუ ცდუნდებით კათოლიციზმით. გაიხსენეთ, რომ იგი მწვალებლობაა, რომ რომის ეკლესიამ შეცვალა სახარებისეული ჭეშმარიტი სწავლება და მრწამსი, მიიღო პაპის უცდომელობის დოგმატი, გამოაცხადა იგი ღმრთის ნაცვალად დედამიწაზე, ქრისტეს მაგივრად "ეკლესიის" თავად პაპი მიიჩნია, ამით ქრისტეს ეკლესია პაპის ეკლესიად, ხოლო ქრისტეიანობა - პაპიზმად აქცია. კათოლიკო-პაპიზმი, როგორც მწვალებლობა, ჭეშმარიტი ეკლესიის მიერ შეჩვენებულ იქნა და ეს ანათემა დღესაც ძალაშია.

პაპიზმი, იმთავითვე, მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტრად იქცა. ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მართლმადიდებლების ხოცვა-ჟლეტა იყო. პაპის ჯვაროსნებმა სასტიკად დაარბიეს კონსტანტინოპოლი, წმინდა ათონის მთია, მისი მონასტრები და საგანებები. სასტიკად დაარბიეს ქართველთა მონასტერი - ივერონი, დახოცეს მოხუცი ქართველი ბერები, ცდილობდნენ რა ძალადობის გზით მიეღებინებინათ მათთვის პაპიზმი, ხოლო ახალგაზრდები მონებად გაყიდეს.

პაპიზმის უღმობელი ტოტალიტარულ-ავტორიტარული ხასიათი ინკვიზიციებში გამოვლინდა, მისი სულიერი სიმახინჯე კი - ინდულგენციების ინსტიტუტში. რომის ეკლესიამ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული აღიარა, რითაც კიდევ ერთხელ

დადასტურა თავისი არა ზეციური და უცდომელი, არამედ მიწიერი და ცდომილი ბუნება და ხასიათი. მაგრამ დანაშაულის ეს აღიარებაც იეზუიტური პირმოთნეობა და ფანდია: ვატიკანი და რომის ეკლესია კვლავ აგრძელებს აგრესიას მართლმადიდებლების წინააღმდეგ თავისი ამბიციური მიზნების განსახორციელებლად - დაიკავოს მთელ ქრისტიანულ და არა მარტო ქრისტიანულ სამყაროში უპირველესი, „სულიერი“ ბელადისა და ხელმძღვანელი როლი, დაიმორჩილოს ყველა ქრისტიანი, პირველ რიგში კი - მართლმადიდებლები.

ისტორიულად საქართველოსთვის დიდი იყო საცდური პაპიზმისკენ მიდრეკისა, რომელიც განასახიერებდა პოლიტიკურ სიძლიერესა და კეთილდღეობას, დღევანდელი გადასახედიდან კი - “ცივილიზაციას”, “ჰუმანიზმსა” და “დემოკრატიას”. მაგრამ საქართველოს ისტორია გამონაკლისის გარეშე ერთ კანონზომიერებას ადასტურებს: ქვეყნის ხელისუფალთა თუ ეკლესიის მღვდელმთავართა მიდრეკას პაპიზმისაკენ უმაღლ მოჰყვებოდა ხოლმე ღმრთის რისხვა, იქნებოდა ეს ურდოთა, უმეტესწილად მაჰმადიანთა მიერ ქვეყნის დარბევა და დანაწევრება თუ ბოლშევიზმი.

ცალკე საკითხია ის სიცრუე, რომლითაც პაპიზმის მისიონერები საქართველოს მოსახლეობის ცდუნებას ცდილობდნენ, გაკათოლიკების სანაცვლოდ პირდებოდნენ თურქთა თავდასხმებისაგან დაცვას. ის, თუ როგორ დაიცვა პაპმა და მისმა ქვეშევრდომმა სახელმწიფოებმა საქართველო თურქთა თარეშისაგან, და რა გამოიტანა სულხან-საბა ორბელიანმა იმ სახელგანთქმული ვერსალიდან, ჩვენს ისტორიაში ზედმიწევნითაა აღწერილი და ვიცით ქართველებმა. ამას გარდა კათოლიკე მისიონერები მოტყუებით - ვითომ მკურნალობდნენ - თავზე წყალს ასხამდნენ ქართველებს და ასე “ნათლავდნენ”, შემდეგ ამის შესახებ რომის პაპს წერდნენ და თან დასძენდნენ, რომ ალბათ ღმრთი იცინისო ჩვენს თვალთმაქცობაზეო. აი, ასეთი ცრუ, თვალთმაქცი და მზაკვარია კათოლიკო-პაპიზმი. მაშ რატომღა ვცდუნდებით, რა სიბეცე დაგვემართა?!

ბოლო პარიოდში გაძლიერდა ვატიკანის ემისართა საქმიანობა საქართველოში, არის მცდელობა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვონ პრივილეგირებული უფლებები, გაავრცელონ თავიანთი მწვალებლური სწავლება, გადაიბირონ მართლმადიდებლები. ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ვატიკანია. პაპისტები იმდენად გათამამდნენ, რომ შეესიენ საქართველოს სკოლებს იმ მიზნით, რომ აღზარდონ პროკათოლიკური და ეკუმენისტური მრწამსის, კოსმოპოლიტური და არაეროვნული ცნობიერების, ჩვენი ტრადიციების მოძულე, სისინლის აღრევის - ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებთან ქორწინების მოსურნე, სექსუალურად დეზორიენტირებული, უზნეო მომავალი თაობა. ერის მომავალს დიდი საფრთხე შეექმნა.

თანამემამულენო! მოდით, ერთად დავიცვათ ჩვენი შვილები ამ სულიერი აგრესიისაგან, ჩვენი სიქადული - მართლმადიდებლობა და ქვეყანა - მოძალადეებისაგან. ნუ ვუღალატებთ ჩვენს მოწამებრივ წარსულსა და მისგან ნაშობ ღირსეულ მომავალს, თორემ ღმრთის რისხვა არ ასცდება ერსა და ბერს. სიკვდილამდე ვიღვაწოთ სიმართლისათვის და უფალი ღმრთი იბრძოლებს ჩვენთვის!

*მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი
წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი*

2005 წლის 23 აგვისტოს ჩატარდა პრესკონფერენცია. გთავაზობთ პრესრელიზს.

მშობელთა კავშირის პრესკონფერენცია თემაზე:
5,5 მლნ. დოლარით დაფინანსებული კათოლიკური აგრესია საქართველოს
სკოლებში

ორგანიზაცია "კათოლიკური დახმარების სამსახური" (CRS -CATHOLIC RELIEF SERVICIS) შეუდგა ანტიმართლმადიდებლური, პროკათოლიკური პროზელიტიზმის გეგმის განხორციელებას. ძირითადი სამიზნე – საქართველოს მომავალი თაობაა. ძირითადი მიზანი – არამართლმადიდებლური, პროკათოლიკური ორიენტაციის მოზარდი თაობის "აღზრდა". ლოკუმენტი, რომელიც ჩვენ მოგვაწოდეს, გვამცნობს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 5,5 მლნ აშშ დოლარი. ამონარიდი ლოკუმენტიდან:

"**აღნიშნული ხუთწლიანი პროგრამა** (პროკათოლიკური კლუბების შექმნა – მშ. კ.) განხორციელდება თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მას ორგანიზებას გაუწევს "კათოლიკური დახმარების სამსახური" . . . პროგრამა იმუშავებს 203 სკოლაში დაფუძნებულ და ღონისძიებებზე ორიენტირებულ "მოზარდთა კლუბებში" . . . პროგრამის უშუალო მონაწილეები იქნებიან "მოზარდთა კლუბის წევრები". . .".

ლოკუმენტის მიხედვით ფსევდოჰუმანური ღირებულებების საბურველში გახვეული ანტიმართლმადიდებლური პროზელიტიზმის პროგრამა შარშან ოქტომბერში დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იზრუნა ამ პროგრამის ხელშეწყობისათვის და "ზოგადი განათლების შესახებ" კანონში შესაბამისი მექანიზმებიც ჩადო: ამოძირკვა სახელმწიფო სკოლებიდან მართლმადიდებლობის ნებისმიერი გამოვლინება, თვით სიმბოლიკაც კი – ჯვარი, ხატი და ა.შ., აღარაფერს ვამბობთ ლოცვასა და ქადაგებაზე, და გზა გაუხსნა სხვადასხვა კომფესიებსა და სექტებს, რათა მონადირონ და წარწყმიდონ ჩვენი შვილების სულები.

თუ რატომ ამოიჩიეს ვატიკანსა და საქართველოს შორის არშემდგარი ხელშეკრულებით ხელმოცარულმა ძალებმა სამიზნედ მოზარდი თაობა და განათლების სფერო, ამის შესახებ სხვა ქვეყნების მაგალითები მოგვითხრობენ: მსგავსი მზაკვრული "ჰუმანიტარული" პროგრამებით კათოლიკურმა ორგანიზაციებმა მოახერხეს ინდოეთის მთავრობასთან შეთანხმება სკოლების აშენების შესახებ, ვითომცდა წერა-კითხვის სწავლების მიზნით. შედეგად, ქვეყნის თითქმის მთელ სამხრეთ ნაწილში აღიზარდა ეროვნულ ტრადიციებთან და სარწმუნოებასთან დაპირისპირებული, გაკათოლიკებული თაობები. ასევე მოხდა ფილიპინებში და სხვაგან.

ჩვენს შემთხვევაში პერსპექტივა კიდევ უფრო დრამატული და ტრაგიკულია: საუბარია ჩვენი შვილების სულების წარწყმედაზე, საქართველოს ღვთივკურთხეული სულიერების მოსპობაზე, მისი ისტორიული, ეროვნული ცნობიერებისა და მართლმადიდებლობასთან შენივთებული ტრადიციების ხელყოფაზე, მათ სანაცვლოდ – ფსევდოჰუმანური და ფსევდოლიბერალური ფასეულობების დამკვიდრებაზე, რომლის მიზანია უზნეო, უეროვნებო ცნობიერების მქონე მოზარდი თაობის აღზრდა.

ამის დაშვება უდიდესი ღალატი იქნება ჩვენი შვილების, ჩვენი სამშობლოს მოწამებრივი ისტორიისა და ჩვენი სიქადულის - მართლმადიდებლობის მიმართ.

გვჯერა, რომ ჩვენი ეკლესია კვლავაც წინ აღუდგება კათოლიკურ აგრესიას - გამოიყენებს მის ხელთ არსებულ მძლავრ ბერკეტს, საკონსტიტუციო შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პროგრამა შეთანხმებული უნდა იყოს ეკლესიასთან - და დაიცავს ჩვენს მომავალ თაობებს სულიერი გადაგვარებისაგან.

მივმართავთ ყველას: ნუ ვუღალატებთ ჩვენს შვილებს, ნუ ვუღალატებთ ჭეშმარიტებას, თორემ ღვთის რისხვა არ ასცდება არც ერს და არც ბერს.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

მომდევნო დღეებში ვატიკანის საკონსულოს წინ თბილისში ჩატარდა 3 დღიანი აქცია – ლოცვითი დგომა. აქციის ლოზუნგები იყო:

შეწყდეს პროკათოლიკური კლუბების შექმნა სკოლებში

შეწყდეს კათოლიკური ექსპანსია სკოლებში

სკოლებიდან განდევნეს მართლმადიდებლობა და შეუშვეს კათოლიკე-პაპისტები

ვატიკანი სულიერი აგრესორია

მშობლებო, გაუფრთხილდით თქვენი შვილების სულებს

პატრიარქი სკოლებში კათოლიკების შესვლის წინააღმდეგია.





ვატიკანის საელჩოს

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, ეკლესიის მრევლი და საზოგადოების წარმომადგენლები პროტესტს გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხორციელდება პროგრამა “ვაშენოთ მომავალი”, რომელსაც ახორციელებს კათოლიკე ეპისკოპოსების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია კათოლიკური დახმარების სამსახური (CRS). ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, როდესაც მართლმადიდებელ ქვეყანაში სკოლებიდან იდევნება მართლმადიდებლობა და შედის კათოლიკური ორგანიზაცია მიზნობრივი კლუბების ჩამოსაყალიბებლად, და ამ კლუბების მეშვეობით საქართველოს მოზარდ თაობაზე თავისი გავლენის გასავრცელებლად. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ანტიმართლმადიდებლურ პროგრამასა და პროზელიტიზმს.

ცალკე საკითხია იურიდიულ-სამართლებრივი მხარე: რომელი განკარგულებისა თუ თანხმობის საფუძველზე შევიდა CRS სკოლებში? საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ტელევიზიით უარყო სამინისტროს კავშირი ამ პროგრამასთან.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოში შეხვედრაზე CRS-ის წარმომადგენლობას, რომელსაც მეთაურობდა რომის ეკლესიის კარდინალი თეოდორე (მაქარიჩი), განემარტა, რომ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც მართლმადიდებელია, დაუშვებელია, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად საერო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს. ამ შეხვედრაზე რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა შეჩერდება. მაგრამ, სამწუხაროდ, დადებული პირობა არ სრულდება და CRS-სი აგრძელებს პროგრამას.

ჩვენი მოთხოვნაა, შეწყდეს პროგრამის “ვაშენოთ მომავალი” და მოვიწოდებთ, რათა ვატიკანის სადესპანომ მოსთხოვოს რომის ეკლესიის კარდინალს, რათა შეასრულოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დადებული პირობა პროგრამის შეჩერების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს საპროტესტო გამოსვლებს, რომელმაც უკვე რეგიონებშიც კპოვა გამოხმაურება და საყოველთაო ხასიათს ღებულობს.

ძვირფასო თანამემამულენო, დანო და ძმანო!

საქართველოს მომავალს დიდი საფრთხე შეექმნა – მოზარდი თაობის არამართლმადიდებლური, არაეროვნული, პროკათოლიკური ცნობიერებით “აღზრდის” მიზნით სკოლებში კათოლიკური დახმარების სამსახური (CRS) შევიდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოში შეხვედრაზე CRS-ის წარმომადგენლობას, რომელსაც მეთაურობდა რომის ეკლესიის კარდინალი თეოდორე (მაქარიქი), განემარტა, რომ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც მართლმადიდებელია, დაუშვებელია, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად საერო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს. ამ შეხვედრაზე რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა შეჩერდება. მაგრამ, სამწუხაროდ, დადებული პირობა არ შესრულდა და CRS-მა პროგრამა გააგრძელა.

ამ ვითარებიდან გამომდინარე ჩვენ, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენლები, ეკლესიის მრევლთან და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად, იძულებული გავხდით პროტესტის ნიშნად ვატიკანის საელჩოსთან მივსულიყავით და მოგვეთხოვა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე პროგრამა “ვაშენოთ მომავალი”, რომელსაც ახორციელებს კათოლიკე ეპისკოპოსების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია “კათოლიკური დახმარების სამსახური” (CRS), შეწყდეს. მართლმადიდებელ ქვეყანაში სკოლებიდან იღვენება მართლმადიდებლობა, კანონმდებლებმა არ გაითვალისწინეს ეკლესიისთვის საკონსტიტუციო შეთანხმებით მინიჭებული უფლებები და არ მიიღეს ეკლესიის მიერ წამოყენებული პრინციპული მოთხოვნები განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგინა საპატრიარქოს განათლების კომიტეტმა. იმავდროულად სკოლებში შეუშვეს კათოლიკური ორგანიზაცია მიზნობრივი კლუბების ჩამოსაყალიბლებად, რომლის ფარული მიზანია კლუბების მეშვეობით საქართველოს მოზარდ თაობაზე თავისი გავლენის გავრცელება. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ანტიმართლმადიდებლურ პროგრამასა და პროზელიტიზმს.

ჩვენ სიტყვიერად და წერილობით მივმართეთ ვატიკანის ელჩს, რომ მან, როგორც პაპის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოსთხოვოს პაპის დაქვემდებარებაში მყოფ კარდინალ თეოდორეს, რათა მან შეასრულოს მის მიერ საპატრიარქოში დადებული პირობა პროგრამის შეჩერების თაობაზე და CRS-მა დაანებოს თავი დეზინფორმაციული მასალების გამოქვეყნებას გაზეთებში. საპროტესტო გამოსვლის მესამე დღეს ელჩმა გადმოგვცა კარდინალ თეოდორეს (მაქარიქის) სიტყვა, რომ აშშ-ში, CRS-ის ოფისში მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამის შეჩერების თაობაზე, პროგრამა არ განახლდება, თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება საპატრიარქოსთან. ჩვენ ელჩს მოვთხოვეთ ამ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დოკუმენტური დადასტურება. ვატიკანის ელჩი დაგვთანხმდა, რომ იგი სთხოვდა CRS-ის წარმომადგენლებს, რომ მათ გამოაქვეყნონ აშშ-ში მიღებული

გადაწყვეტილება იმავე გაზეთ “24 საათში”, რომლითაც საზოგადოებას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ აცნობეს.

ამით საპროტესტო გამოსვლა შეწყდა, თუმცა პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კვლავ განახლდება უფრო ფართო მასშტაბითა და უფრო მკაცრი მოთხოვნებით.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი.